პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

1972 წ.
№ 13 (4523)
19 იანვარი, ოთხშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## გზა დაგვლოცოთ!

სათხილამურო სპორტი რამდენიმე სპეციფიკური სახეობისგან შედგება, მაგრამ ყველა, იქნება ეს სამთო სათხილამურო სპორტი, რბოლები, ტრამპლინიდან ხტომა თუ ორჭიდი, იმდენად შრომატევადია, რომ სპორტსმენისგან დიდ ენერგიას მოითხოვს. სპორტული სამყაროს ბევრი ცნობილი ვარსკვლავი ახსოვს ნორვეგიიდან, შვეციიდან, ფინეთიდან, სსრ კავშირიდან, ევროპისა და ამერიკის სხვა ქვეყნებიდან. პ. კოლჩინს (სსრ კავშირი), ტ. ზაილერს (ავსტრია), ჟ.-კ. კილის (საფრანგეთი), ს. ერნბერგს (შვეცია), ს. ერიქსონს (შვეცია) და სხვებს თავის დროზე ბადალი არ ჰყავდათ. მაგრამ ისინი ძლიერ ჭაბუკობის ასაკში ბრწყინავდნენ და ამ დიდებით საშუალო ასაკის კარიბჭემდეც კი არ მიუღწევიათ.

ძნელია თხილამურებით რბენაში, სამთო სახეობებში, ორჭიდში დიდხანს გაძლო სარბიელზე. უფრო ძნელია უმაღლესი კლასის „მფრინავი მოთხილამურის“ ტიტულის ხანგრძლივად ტარება. მით უფრო გვახარებს და გვეამაყება ჩვენი თანამემამულის, შესანიშნავი ბაკურიანელი სპორტსმენის კობა წაქაძის წარმატებები.

ყველაფერს თავისი დრო აქვს. კობასაც ჰქონდა ბრწყინვალე პერიოდი, როცა ტრამპლინიდან ხტომაში ფრენის საკუთარი, ერთგვარი წოდებული წაქაძისეული სტილი შექმნა: ეს მოხდა მაშინ, როცა სსრ კავშირის სპორტსმენები ამ სახეობაში საერთაშორისო სარბიელზე ახალი გასულები იყვნენ. კობა მსოფლიოში პირველი იყო, ვინც არეკნის შემდეგ ფრენის მომენტში თხილამურებზე დახრილობის კუთხე იდეალურს მიუახლოვა: თხილამურებთან ერთ მთლიან მასად შეიკრა.

იმ წლებში წაქაძეზე წერდა დასავლეთ ევროპის და ამერიკის სპორტული პრესა, გდრ-ის და გფრ-ის, ავსტრიის, შვეციის, ფინეთის, პოლონეთის, აშშ-ს „მფრინავი მოთხილამურეები“ მისგან ბევრს სწავლობდნენ. ნორვეგიელებსაც კი, რომლებსაც ხტომის თავიანთი სკოლა აქვთ და მსოფლიოში დიდხანს აღიარებულ „მფრინავ მოთხილამურეებად“ ითვლებოდნენ, არ ეთაკილებოდათ წაქაძისგან ზოგი რამ გადაეღოთ. წაქაძემ საერთაშორისო სარბიელზე, ზაკოპანეს მსოფლიო ჩემპიონატში, სსრ კავშირის სპორტსმენთაგან პირველმა საუკეთესო ადგილი დაისაკუთრა. იმ წლებში კობას ნ. კამენსკისა და ნ. შამოვის სახით საკმაოდ ძლიერი მეტოქენი ჰყავდა ჩვენში.

ყველაფერს თავისი დრო აქვს. თითქოს კობას დროც წავიდა. ერთხანს მან დათმო წამყვანი პოზიციები, საკავშირო ჩემპიონატებშიც აღარ ჩანდა, მაგრამ ეს დროებითი უკან დახევა ყოფილა. როცა სხვები ფიქრობდნენ, რომ წაქაძე სარბიელს ტოვებსო, როცა იგი სსრ კავშირის ნაკრებიდან გამოიყვანეს, კობა აღორძინებისთვის ემზადებოდა.

ეს დროც დადგა. კობა მარტო სსრ კავშირის წამყვან „მფრინავ მოთხილამურეთა“ რიგებში კი არა, მსოფლიოს საუკეთესო მხტომელთა ოჯახში დაბრუნდა, იმ ოჯახში, სადაც მისი თანატოლებიდან აღარავინაა, ძველები ბრძოლის ველს კარგა ხანია ჩამოშორდნენ.

წაქაძისთვის სპორტული დიდების აღორძინების შემდეგ ყველაზე უხვმოსავლიანი გასული სეზონი იყო, იმდენად უხვმოსავლიანი, რომ მისი ნიჭის, ენერგიის წინაშე ქედი სპორტულმა „მტრებმაც“ მოიხარეს. წაქაძე სსრ კავშირის ნაკრებში დააბრუნეს და იმედიც არ გამტყუნებიათ.

ყველაზე მეტად საპასუხისმგებლო ქართველი სპორტსმენისთვის მაინც საპოროს ოლიმპიადისთვის მზადება გახლდათ. დასამალი როდია, წაქაძეს თვითონ აღარ სურდა საპასუხისმგებლო ტურნირებში გამოსვლა, მაგრამ სპორტსმენის ძალასა და შესაძლებლობებს სპეციალისტები, მწვრთნელები უკეთ ხედავენ. კობას ყველაზე დიდი გამოცდა ოთხი ტრამპლინის საახალწლო საერთაშორისო ტურნირში მოუწყვეს. ამ შეჯიბრებაში მან სსრ კავშირის სპორტსმენთა შორის II ადგილი დაიკავა, რითაც ნაკრებში ადგილი კიდევ უფრო განიმტკიცა.

საპოროს ოლიმპიადისთვის მზადების ყველა დრო ამოიწურა. წაქაძეს ნაკრების მწვრთნელთა არც ერთი მითითება არ გაუმრუდებია. მას სსრ კავშირის სპორტული ღირსება საპოროშიც უნდა დაეცვა და ამ მიზანს ჩვეული გულისხმიერებით მოეკიდა, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ამას ისიც ავალებდა, რომ ფიზკულტურასა და სპორტში თვალსაჩინო დამსახურებისთვის შარშან შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

ზამთრის XI ოლიმპიადის დაწყებამდე ორიოდე კვირა დარჩა. სათხილამურო რბოლებსა და ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში საპოროს საგზურები ბაკურიანში დარიგდა. ეს საგზურები წილად ხვდა მათ, ვინც 14-18 იანვარს კიდევ ერთხელ ისახელა თავი.

„მფრინავი მოთხილამურეები“ ორ დღეს ასპარეზობდნენ. იქ, საპოროში ოლიმპიური მედლები 90 და 70-მეტრიან ტრამპლინებზე გათამაშდება. აქაც, ბაკურიანში, საგზურების მაძიებლები ამგვარ ტრამპლინებზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. შაბათს გამოცდები ახლადაგებულმა 70-მეტრიანმა ტრამპლინმა ჩაიბარა, მაგრამ უმაღლესი შეფასება მხოლოდ ზონტოვმა და წაქაძემ დაიმსახურეს. კვირას სარბიელმა რამდენიმე მეტრით მარცხნივ გადაინაცვლა — 90-მეტრიან ტრამპლინზე.

* * *



სურათზე: ახე ხტება კ. წაქაძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

## შრომისა და ოლიმპიური იმედების სეზონი

— ამჟამად, ოლიმპიურ სეზონში, მოწინავე საბჭოთა მოცურავეებისთვის მთავარი გულმოდგინე ვარჯიშია, — უთხრა საკდ-ის კორესპონდენტს საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელმა კ. ინიასევსკიმ. — მხოლოდ ამ გზით შეიძლება კარგი ნაკრების მომზადება.

— ოლიმპიურ აუზში გამარჯვების პრეტენდენტთა წრე გაფართოვდა. თუ წინა ოლიმპიადებში ამერიკის შეერთებული შტატების მოცურავეები პირველობდნენ, ახლა ფინალისტთა შორის უთუოდ იქნებიან გდრ-ის, ავსტრალიის, იაპონიის, შვეციის, გფრ-ის სპორტსმენები....

— ჩვენი უმთავრესი იმედები ბრასით ცურვასთანაა დაკავშირებული, — განაგრძო უფროსმა მწვრთნელმა. — ამ სტილით ცურვაში საბჭოთა სპორტსმენებს მრავჯერ მოუპოვებიათ საპრიზო ადგილები ოლიმპიურ სარბიელზე. იმედს ვამყარებთ ტოკიოს თამაშების ჩემპიონზე და მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორზე, მოსკოველ გალინა სტეპანოვაზე, მის თანაქალაქელზე, ევროპის პირველობის პრიზიორ ალა გრებენიკოვაზე, კრასნოდარელ ლიუდმილა პორუბაიკოზე, ლვოველ ტატიანა პროდნიკოვაზე.

ვაჟებში საუკეთესოთა შორის მოხვედრის შანსი აქვთ მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორებს — მოსკოველ ნიკოლოზ პანკინსა და ლენინგრადელ ვლადიმერ კოსინსკის, აგრეთვე სმოლენსკელ იგორ ჩორჩუკოვს. წარმატების მოპოვება შეუძლიათ ევროპის ჩემპიონს, თბილისელ თინათინ ლეკვეიშვილს და მოსკოველ იგორ გრივენიკოვს (გულაღმა ცურვა), ასტრახანელ მიხეილ სუხარევს (კომპლექსური ცურვა).

ოლიმპიური სტარტებისთვის ვამზადებთ კროლით მოცურავეთა დიდ ჯგუფს — მოსკოველებს ვლადიმერ ბურესა და ლეონიდ ილიჩევს, თბილისელ იგორ ლისენკოს, ყარაგანდელ ვიქტორ აბოიმოვს, ალექსანდრე სამსონოვს მოსკოვის ოლქიდან და სხვებს.

ოლიმპიურ ნაკრებში კიდევ ბევრი ვაკანსიაა. ასე რომ, გზა ხსნილი აქვს ყველას, ვინც წინაოლიმპიურ შეჯიბრებებში კარგ შედეგებს მოიპოვებს, — დაამთავრა კ. ინიასევსკიმ.

* * *

სეზონი დაიწყება მასობრივი შეჯიბრებებით ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტული კლუბების, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების პირველობებზე. 5-6 თებერვალს ჩატარდება პირველი ეტაპის ფინალური საბავშვო შეჯიბრებები გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე — „მხიარული დელფინი“. მარტის ბოლოს ლენინგრადში მოეწყობა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის მორიგი გათამაშება, რომელშიც უცხოელი სტუმრებიც მიიღებენ მონაწილეობას.

7-9 აპრილს მოსკოვის 50-მეტრიან აუზში შედგება სსრ კავშირისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების მატჩი სრული ოლიმპიური პროგრამით. ამავე პერიოდში ერფურტში (გდრ) ერთმანეთს შეხვდებიან ამ ქვეყნების ჭაბუკთა ნაკრები გუნდები. აპრილის ბოლოს რამდენიმე საბჭოთა მოცურავე გფრ-ში და იუგოსლავიაში გაემგზავრება. მაისის ბოლოს კვლავ მოეწყობა მასობრივი სტარტები ფიზკულტურის კოლექტივებისა და სპორტკლუბების პირველობაზე. 27-28 მაისს დაგეგმილია „სოვეტსკი სპორტის“ პრიზზე ასპარეზობის მეორე ეტაპის მასობრივი ფინალები. 2-6 აგვისტოს კიევში მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათამაშდება პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს შორის.

ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატებისთვის გადამწყვეტი სტარტი იქნება სსრ კავშირის ჩემპიონატი, რომელიც თბილისში ჩატარდება 2-6 აგვისტოს.

## ახალი ამბები

● იუჟნო-სახალინსკი, 17 იანვარი. სსრ კავშირის თასზე აქ გამართული ორჭიდელთა შეჯიბრება დამთავრდა 15 კილომეტრზე რბოლით. იგი მოიგო მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ნ. ნოგოვიცინმა (კემეროვო) — 51.37. საერთო ჯამში პირველობა წილად ხვდა ლენინგრადელ მ. მარტიუხოვს — 405,25 ქულა.

● ლენინგრადი, 17 იანვარი. მოსკოვისა და ლენინგრადის სპიდვეისტთა გუნდების ამხანაგურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 71:40.

● ახალი ორლეანი, 17 იანვარი. მსოფლიო ჩემპიონმა მძიმე წონის პროფესიულ მოკრივეთა შორის ჯ. ფრეზერმა წარმატებით დაიცვა თავისი ტიტული, როცა მეოთხე რაუნდში დაამარცხა ახალგაზრდა ტეხასელი ტ. დანიელსი.

● გეტებორგი, 17 იანვარი. ფიგურულ ციგურაობაში აქ დამთავრებულ ევროპულ ჩემპიონატში არაოფიციალური გუნდური ჩათვლის შემდეგ პირველ ადგილზეა სსრ კავშირის კოლექტივი, რომელსაც ოქროს 1 და ვერცხლის 3 მედალი აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიელები და ავსტრიელები — ოქროს თითო მედალი.

● დავოსი, 17 იანვარი. ციგურებით სწრაფრბენაში ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა მოსკოველმა სტუდენტმა ვ. ლავრუშკინმა. მან 3000 მეტრი დისტანციის გავლას 4.21,0 მოანდომა და 6 წამით გააუმჯობესა ი. მალიხინის ძველი მიღწევა. ე. კელერმა (გფრ) და ს. ჰიანინენმა (ფინეთი) ერთნაირი დრო — 38,2 აჩვენეს 500-მეტრიან დისტანციაზე. 5000 მეტრზე უძლიერესი იყო ს. სტენსენი (ნორვეგია) — 7.18.7.

## სამერმისო გეგმები დასახეს

ამ დღეებში ჩატარდა საქართველოს ალკკ კასპის რაიონული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა რაიონში ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობასა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს ალკკ კასპის რაიკომის პირველი მდივანი ო. ჭონიაშვილი.

განხილული საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კასპის რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. კეკელიშვილმა, ქვემო ჭალის კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტმა ბ. ბათილაშვილმა, ქარხანა „კასპიელექტროაპარატის“ კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ გ. გზირიშვილმა, კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ო. გორჯოლაძემ, კავთისხევის საშუალო სკოლის დირექტორმა ვ. მჭედლიშვილმა, სასირეთის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა ს. ზაქტაძემ, ამავე სკოლის მოსწავლემ, ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონმა ქართულ ჭიდაობაში ი. დავითაშვილმა, კასპის მე-2 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ი. მესროფაშვილმა.

კომკავშირის რაიონული ორგანიზაციის აქტივის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ოდიშვილმა.

განხილულ საკითხზე კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ლ. ელისაბედაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გზა დაგილოცოთ!

დასასრული

ბაკურიანში „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებას მუდამ უამრავი მაყურებელი ჰყავს, მაგრამ ამ კვირას განსაკუთრებით ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. გასაგებიცაა — აქ ხომ საბოლოოდ წყდებოდა XI ოლიმპიადის საგზურების ბედი. წაგება არავის უნდოდა, საგზური კი მხოლოდ ხუთი იყო.

კობამ პირველი ადგილი დაიკავა. ყველა ულოცავდა. ჟურნალისტებიც ვულოცავდით და ყველას ერთი რამ გვაინტერესებდა:

— რას იტყვით მომავალ გეგმებზე?

— ხომ გაგიგონიათ, ის ჯარისკაცი ჯარისკაცად არ ვარგა, რომელიც გენერლობაზე არ ფიქრობსო, — გვითხრა წარმატებით კმაყოფილმა. — სიბერეში მეც მსურს სხვა მედლებს ბარემ ოლიმპიური ჯილდოც მივუმატო, მაგრამ იქ ბაკურიანის ტრამპლინი როდი მელის. ჩემი მომავალი მეტოქეებიც მარტო საბჭოთა სპორტსმენები არ იქნებიან — იაპონიაში მსოფლიოს საუკეთესო მხტომელებთან ძნელზე ძნელი ბრძოლა უნდა გავაჩაღო. ვეცდები ჩემი გულშემატკივრების იმედი გავამართლო, ძალ-ღონეს არ დავზოგავ, და თუ არ გამიმართლა, მერე...

— მერე რას აპირებთ?

— გადაწყვეტით ვერაფერს გეტყვით, ისე კი, აქტიური სპორტისთვის თავის დანებება კარგა ხნის წინათ განვიზრახე, მაგრამ ამის საშუალება არ მომცეს. ნება მომეცით თქვენი მეშვეობით მადლობა გადავცე ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს ხელმძღვანელობას, ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს, რომლებმაც წვრთნისა და საპოროს ოლიმპიადისთვის მზადებისთვის ყველა პირობა შემიქმნეს.

კობა წაქაძე და მისი თანაგუნდელები მალე გაემგზავრებიან საპოროში. გზა დაგილოცოთ!

ო. ბელაშვილი.



ბაკურიანის სპორტული ბაზების ოჯახს ახალი ნაგებობა შეემატა — მწყობრში ჩადგა 70-მეტრიანი ტრამპლინი, რომელიც კოხტაგორას ჩრდილოეთ ფერდობზე 90-მეტრიანი ტრამპლინის გვერდით აშენდა. მართალია, ორივე ტრამპლინზე შედარებით უმნიშვნელო სამუშაოებია დარჩენილი, მაგრამ, როგორც დიდი, ისე მცირე ნაგებობა თავიანთ მოვალეობას უკვე პირნათლად ასრულებს. 90-მეტრიანმა ტრამპლინმა პირველი სტუმრები სამიოდე წლის წინ მიიღო და ამის შემდეგ რამდენიმე გამოცდა ჩააბარა, პატარა ტრამპლინმა კი „მფრინავ მოთხილამურეებს“ წელს პირველად უმასპინძლა.

სურათზე: ტრამპლინთა კომპლექსი. მარცხნივ 90-მეტრიანი ტრამპლინი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(ჩვენი სპეც. კორ.).

# ზაბელინა ოლიმპიადისთვის ლესავს რაპირას

როცა ვორონეჟში ქალებმა სსრ კავშირის თასის გათამაშება დაამთავრეს, არავის გაჰკვირვებია, რომ საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მინსკელი ე. ბელოვა დადგა. არ გაჰკვირვებიათ იმიტომ, რომ ბელოვა ერთ-ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელია საბჭოთა კავშირის ქალთა ფარიკაობისა. არ არსებობს არც ერთი სპორტული ჯილდო, რომელიც ამ უნიჭიერეს სპორტსმენს არ ჰქონდეს. იგი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია, ოლიმპიადის მომდევნო წელს კი მსოფლიოს ოქროს მედლის კავალერიც გახდა. სსრ კავშირის ჩემპიონის სახელთან ერთად იგი ქვეყნის თასის მფლობელიცაა. და აი, ახლა, წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში ბელოვამ კვლავ დაამტკიცა თავისი ძალა. ეტყობა მინსკელი სპორტსმენი საგანგებოდ ემზადება ოლიმპიადისთვის. II ადგილზე გავიდა ტალინელი მოფარიკავე ს. ჩირკოვა. III ადგილი წილად ხვდა საბჭოთა გუნდის ვეტერანს ა. ზაბელინას. იგი საბჭოთა მოფარიკავეთაგან პირველი იყო, რომელმაც 1957 წელს პარიზის მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალი დაისაკუთრა. განვლეს წლებმა და ეს შედეგი ალექსანდრამ ზუსტად 10 წლის შემდეგ გაიმეორა. მოყოლებული 1956 წლიდან, ზაბელინა ქვეყნის ნაკრების უცვლელი წევრია. გვახარებს, რომ ამ უბერებელ სპორტსმენს ძალუძს დაიცვას საბჭოთა კავშირის სპორტული სახელი მიუნხენის ოლიმპიადაშიც.

საოცარია, მაგრამ კიეველი რაპირისტი ვ. პუტიატინი მსოფლიოს ჩემპიონი იყო პირად ტურნირშიც, ხოლო სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობაში მსოფლიოს მრავალგზის ტრიუმფატორიც, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი იგი არასდროს ყოფილა. ახლა კი ვორონეჟში პუტიატინს ბადალი არ ჰყავდა.

ვერ ვიტყვით, რომ შარშანდელი სეზონი ვიქტორისთვის იღბლიანი იყო, რადგან კიეველმა სპორტსმენმა საკავშირო სპარტაკიადის ფინალში ვერ გაიკვლია გზა. ბევრს ეგონა პუტიატინის მზე ჩაესვენაო, მაგრამ, ეტყობა, თვითონ ვიქტორი არ ფიქრობდა ასე.

გამარჯვების საკითხის გადასაწყვეტად ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ნაკრების წევრის, ნოვოსიბირსკელი ა. კოტეშევისა და პუტიატინის ორთაბრძოლას. შეხვედრა პუტიატინმა კარგად დაიწყო. და აი, როცა ანგარიში გახდა 4:1 კიეველის სასარგებლოდ, კოტეშევმა შეძლო მეტოქეს დასწეოდა. მაგრამ კოტეშევმა შეტევაში დააყოვნა და პუტიატინმა მომგებიანი ქულა აიღო. მან სსრ კავშირის თასი დაისაკუთრა.

პუტიატინი მაღალი, ხმელ-ხმელი, ფიზიკურად ძლიერი სპორტსმენია. მართალია, მისი საფარიკაო ხელოვნება მაინცდამაინც არ ბრწყინავს, მაგრამ ვიქტორს აქვს ერთი საოცარი პლიუსი, რომელსაც მოფარიკავეთა ენაზე, მანძილის გრძნობა ჰქვია. დიახ, მისი კოზირია კონტრშეტევა. პუტიატინი რაღაც წამის მეათედში ასწრებს ჩხვლეტის მიყენებას.

შეჯიბრების სენსაცია იყო შარშანდელი საფარიკაო სეზონის გმირის, ლვოველი ვ. სტანკოვიჩის მარცხი. იგი ნახევარფინალში გამოეთიშა შეჯიბრებას. მართლაც საოცარია: სტანკოვიჩმა შარშან დამაჯერებლად მოიგო ჯერ მსოფლიო ჩემპიონატი, მერე საკავშირო სპარტაკიადა და რამდენიმე პრინციპული საერთაშორისო ტურნირიც, ახლა კი ფინალისტთა შორისაც ვერ ვიხილეთ. ასეა, ფარიკაობა ხომ ერთ-ერთი ჭირვეული სპორტია და გამარჯვებულის დასახელება აქ ძალზე ძნელია.

II ადგილი დაიკავა კიეველმა პ. იგნატოვმა, ხოლო III — ა. კოტეშევმა.

გუშინ ასპარეზობაში ჩაებნენ დაშნით მებრძოლები.

ფარიკაობა

# უფრო პოპულარული გახდა

ვიდრე რესპუბლიკის იუნიორ მოფარიკავე გოგონათა შეჯიბრების შესახებ მოგითხრობდეთ, მინდა შეგახსენოთ, თუ როგორ გამოდიან ბოლო წლებში ქართველი ქალები საკავშირო სარბიელზე.

შარშან მთავარი და პრინციპული ასპარეზობა მათთვის სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადა იყო. ამ მეტად საპასუხისმგებლო ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის ქალთა გუნდი თითქმის მთლიანად გადახალისდა. მის შემადგენლობაში მხოლოდ მ. კოხრეიძე და რ. კეკელია-სურმავა იყვნენ გამობრძმედილი ოსტატები. უნდა ითქვას, რომ გამოცდილ მოფარიკავეებს მხარი კარგად აუბეს ახალგაზრდებმა და სპარტაკიადაში გუნდმა საპატიო IV ადგილი დაიკავა. ამასთან, ჩვენებმა რუსეთის ფედერაციის ძლიერ კოლექტივთან მინიმალური ანგარიშით წააგეს ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლა. მართალი გითხრათ, არც მწვრთნელები და არც სპორტსმენები ასეთ წარმატებას არ ელოდნენ.

ამან კიდევ უფრო პოპულარული გახადა ჩვენში ქალთა ფარიკაობა, რაც იუნიორთა ასპარეზობამაც დაამტკიცა. ეს მაშინ, როცა სარბიელზე არ გამოსულა რამდენიმე წამყვანი სპორტსმენი.

როცა 8 ფინალისტი ცნობილი გახდა, შეჯიბრებას ორი სპორტსმენი — ქუთაისელი ნ. გავაშელიშვილი და საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი მ. გაბუნია ლიდერობდნენ. მათ სამი შეხვედრიდან სამივე მოგებული ჰქონდათ. მაგრამ, როცა გავაშელიშვილი და გაბუნია ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, უკვე ნათელი გახდა, რომ ეს უკანასკნელი შეჯიბრებისთვის უკეთ იყო მომზადებული. შეხვედრა დიდი ანგარიშით მოიგო გაბუნიამ — 4:0. მაგრამ აქ მთავარი მოგება როდია. გაბუნია ფარიკაობდა გააზრებულად, ლაღად, რაც მთავარია, ტექნიკურად. იგი შემტევი სტილის მოფარიკავეა, მაგრამ ამავე დროს კარგად ფლობს დაცვის ტექნიკასაც და მოწინააღმდეგის ყოველ შეცდომას იყენებს. აღსანიშნავია, რომ ამ ნიჭიერმა სპორტსმენმა ფინალში ყველა შეხვედრა მოიგო და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით გავაშელიშვილზე: გაბუნიასთან წაგების შემდეგ მან ფარ-ხმალი დაყარა და ყველა შეხვედრა წააგო.

კარგად იასპარეზა პირველობის მეორე პრიზიორმა ლ. ატამანოვამ. საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ლ. კუციამ III ადგილი დაიკავა.

განსაკუთრებით ქების ღირსია IV ადგილზე გასული, თბილისის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლე მ. გეჯაძე. ეს 14 წლის სპორტსმენი შესაშურ მონდომებასა და მიზანსწრაფულობას ავლენს. იგი იბრძვის არა მარტო ყოველი შეხვედრის მოგებისთვის, არამედ თითოეული ჩხვლეტისთვისაც. რა თქმა უნდა, გეჯაძის მომავალ წარმატებაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ სასიხარულოა, რომ იგი ამის გარანტიას ახლაც იძლევა.

ერთი სიტყვით, გოგონათა ასპარეზობამ სიამოვნება მოჰგვარა მაყურებელსაც და სპეციალისტებსაც.

ა. ბურული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰა და ჰა, ეს დაუსრულებელი ზამთარიც გაილია. რაღა დარჩა. თებერვლისა და მარტის კიდევ რამდენიმე ჭირვეული დღე და დედაქალაქში... დიდი ფეხბურთი შემობრძანდება.

იმედს არ ვკარგავ, რომ კადნიერებას მაპატიებთ, რადგანაც გავბედე და მამაკაცთა მარადიულ საუფლოში მოკრძალებით შევაბიჯე, იქ, სადაც მეუფობს მისი უდიდებულესობა — ფეხბურთი....

მომისმინეთ, მე არა მაქვს მისი პროფესიული განსჯის პრეტენზია. ეს ალბათ კადნიერება იქნებოდა. უბრალოდ მე იგი მიყვარს. მის გამოჩენას სადღაც ეროვნული ჰიმნებით ხვდებიან. მაგნიტური ველის მიმზიდველობა იმდენად ძლიერია, რომ ფეხბურთის ავანსცენაზე დროშები გამოაქვთ. ხოლო ვარსკვლავები, რომლებიც ცაში კი არა, მწვანე მინდორზე იბადებიან, კაშკაშებენ, კაშკაშებენ და მერე... საკმარისია ახლოს ჩახედოთ თვალებში ამ იდუმალებას და ექსტრავაგანტური ალტაცების მიღმა, სულის შემძვრელი უბრალოებაა. ვარსკვლავები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თავიანთი ცრემლიანი განცდით, ჭაბუკური ალტაცებით, ფარხმალდაყრილი კაცის ტკივილებით. ერთი სიტყვით, ცხოვრების ყველა ყოფითი წვრილმანით. ფეხბურთი ჩვენს მიერ ცაში ასე მაღლა ასროლილი და გაიდეალებული უეცრად გადაიქცევა მძიმე, საოცრად მძიმე სამუშაოდ, რომელიც მსხვერპლს მკაცრად მოითხოვს. ყველაფერი უნდა შესწირო მის აზარტს, ტაქტიკურ აზროვნებას, ტექნიკური არსენალის ტვირთის ათვისებას, სტრატეგიულ საიდუმლოებათა ამოხსნის უნარს. ალბათ იმიტომ, რომ იგი მარტოოდენ სპორტი არ არის, ის ახლა ჩვენი მარდი ბიჭების სარბიელია, რომელსაც დიდი აუდიტორია ჰყავს და პასუხისმგებლობაც დიდი აკისრია.

ამ მშვიდ, უდრტვინველ გარემოში ბეტონისა და მინის ფერადოვან აკვარიუმში ზამთრის ძილს თავმიცემულებს უეცრად გვახსენდება, რომ ზეჭირხლულ მინდორზე ხასხასა მწვანე ბალახი წამოიჭიჩრა. აი, ცოტაც და მდუმარე ტრიბუნებს ჟრუანტელი გადაუვლის. მოლოდინში რამდენი რამის გახსენება შეიძლება.

ვსარგებლობ ტაიმაუტით და ჩვენი საფეხბურთო სპექტაკლების ერთ-ერთ მთავარ მოქმედ გმირს რეზო ძოძუაშვილს ვეცნობი. მოხდენილი, თავგანწირული — ასეთი დაგვამახსოვრდა ტელევიზორის ეკრანიდან თუ ფეხბურთის მინდვრიდან. დიდრონი ცისფერი თვალები აქვს. მთელ მის არსებაში არის რაღაც სუფთა გამჭვირვალება, რომელიც ერთი თვალის შევლებით გაგრძნობინებთ ხელშეუხებ სულიერ სისპეტაკესა და რკინის ნებისყოფას. ბელფასტის გმირი ნაღდი ქუთაისური მომხიბლაობით აჯას რამეს მიყვება ფეხბურთზე. როგორც ვატყობ, ვერსად წაუვალ ცოტაოდენ ლირიკულ გადახვევებსაც და მისი ბავშვობის რამდენიმე ფრაგმენტი მინდა მასთან ერთად გავიხსენო.

... იყო ოქროსქოჩრიანი ბიჭი, რომელსაც ყველაზე ძალიან უყვარდა ქუთაისში ბალახვანის უბანი, რადგანაც იქ ცხოვრობდა ბაბუა ვანო ლორთქიფანიძე, ალბათ იმიტომ, რომ ბიჭს განსაკუთრებით ანებივრებდა და კიდევ იმიტომ, რომ ეზოში ისეთი დიდრონი წითელი ბროწეულები იზრდებოდა, მსგავსს მთელ დედამიწის ზურგზე ვერსად იპოვნიდით. ღობესთან ბებერი ბეღლა იდგა, დიდი გაფარჩხული ტოტებით. მის ქვეშ მწვანე კოინდარი ბიბინებდა, ხავერდივით იყო. ეზოს გადაღმა ღვინის სარდაფში მუდამ ვიღაც დარდიმანდები ქეიფობდნენ. მერე როგორ მღეროდნენ. გათენებისას ბიჭს არღნის მოთქმა გააღვიძებდა. ცხენის ფლოქვები აცეკვდებოდა მრუდე ქვაფენილზე, მუსიკასავით იყო. ეს კალისტრატე მიაქროლებდა თავის ეტლს. ლამაზი „ფაეტონი" ჰყავდა კალისტრატეს. სულ ვერცხლის აბჟანდებითა და ზანზალაკებით მოკაზმული. დილით მისი დეიდაშვილი მურთაზ გულედანი დაადგებოდა თუ არა თავზე, რეზო იმ წუთში ლოგინიდან გამოძვრებოდა. სულმოუთქმელად მასთან ერთად ჩაირბენდა კიბეებს. აგერ ჭიშკარში გასულს ბებია ნუცას ხმა მისწვდებოდა:

— ,ე,... კიდევ უჭმელი გეიპარენ ეს შეჩვენებულები. რეზო, ბიჭო!.. მურთაზა!..

შეჩერდებოდა ბიჭი. უკან შემობრუნდებოდა ჭიშკარში. მურთაზ გულედანი ღობეს იქედან ემუშტებოდა.

— დაანებე თავი, თუ ღმერთი გწამს, ნუცა, ბიჭებს, წევიდენ, საცა უნდათ — იცინოდა ბაბუა ვანო.

— მთელი დღე რიყეზე ყრიან ეს და მურთაზა და, სანამ რიონში არ დაიხრჩობენ თავს და ყელს არ გამომჭრიან, არ მომეშვებიან.

— რიყეზე კი არა, ხაღორის ტყეში ბურთს თამაშობენ. კოჭებზე ეტყობა ბიჭს, კარგი ფეხბურთელი გამოვა. თვალებს წკურავდა ბაბუა და „ყაზბეგის" პაპიროსს ნეტარებით აბოლებდა. შემოიტუზებოდა ჭიშკარში მურთაზა. ჩაჩაჩულ ტრუსებს ამოიწევდა და რეზოს გაბუტული ესროდა:

— კაი ბოთე ხარ შენ, ხომ იცი.

რაღას იზამდნენ... დაიწყებდნენ ბურთის კენწვლასა და ცალი გოლის თამაშს. ერთადერთი მაყურებელი ისევ ვანო ბაბუა იყო.

— აუჰ, თქვენი ჭირიმე... შენია კაცო, ე მასე, დაარტყი... შენ მომკლავ თუ მომკლავ....

და ასე მიდიოდა უდარდელად, ტკბილად ბალახვანზე ოქროსქოჩრიანი ბიჭის ულრუბლო დღეები. კარგი იყო ბავშვობა.

მერე, როგორც იტყვიან, აგორდა ბედის ბორბალი და ფეხბურთზე შეყვარებული ჯიუტი ბიჭი გრძელ გზას დაადგა. არტისტისა არ იყოს, რახან ერთხელ იყნოსა მოედნის მტვერი, რაღა მოასვენებდა. ჯერ ბუხუტი ზირაძემ ქუთაისის მე-17 სკოლის ფეხბურთელთა გუნდში ჩარიცხა. ცოტა ხნის მერე კარლო ხურციძემ ქუთაისის „ტორპედოსთან" არსებულ ჭაბუკთა გუნდში შეიყვანა. რეზო როგორღაც რბილად, თანდაყოლილი არტისტულობით ფლობდა ბურთს. სირბილის მანერაც განსაკუთრებული ჰქონდა — ფეთქებადი, მიზანსწრაფული და ლაღი. კარლო ხურციძე უმალ მოეწონა. რამდენ რამეს საოცარს უყვებოდა ბიჭებს ფეხბურთზე, შორეულ ლამაზ ქალაქებზე, სადაც ასი ათას მაყურებელს იტევდნენ სტადიონები. დამარცხებული გუნდის ფეხბურთელები დიდხანს ცხვირს ვერ გამოყოფდნენ ქალაქში. მათს სახლებს პოლიცია სდარაჯობდა. ასწავლიდა, როგორ უნდა ჩაეწოდებინათ კუთხური, ბურთი ზამბარასავით უნდა დახვეულიყო და პირდაპირ კარში უნდა მოედინა ზღართანი. ანდა, როგორ უნდა დაერტყათ ბრაზილიური „ხმელი ფოთოლი", ისე ენავარდათ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, როგორც ფეხბურთის კარუზოს — ბორის პაიჭაძეს.

მერე, საქართველოს ნაკრები, გამარჯვება ვილნიუსში და რეზო თბილისის „დინამოში" წაიყვანეს. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკამანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე სწავლობდა. თან კიროვის ჩარხმშენებელ ქარხანაში მუშაობდა ზეინკლად. ხელები დაუკოჟრდა. სწავლობდა, ეუფლებოდა დიდ ფეხბურთს. გაუჭირდა, მოენატრა ქუთაისი. ყველა ახლობელი იქ ეგულებოდა — დედაც, მამაც, ბაბუა ვანოც... ძმაკაცები, მეზობლები. ერთი სიტყვით ყველა და ყველაფერი, თანაც გაიგო ქუთაისში ანდრო ჟორდანია ჩავიდაო და აიკრა გუდა-ნაბადი. სხვათა შორის, რეზო ძოძუაშვილი მაშინ თავდამსხმელად თამაშობდა (№ 9). ა. ჟორდანიამ ახალი სიცოცხლე შთაბერა ქუთაისის „ტორპედოს", ბევრი რამ ისწავლა მისგან რეზომაც. ვანო ბაბუასი არ იყოს, ფეხბურთელს კოჭებში ატყობდა, გამოვიდოდა თუ არა მისგან რამე. მაგრამ ყალთაბანდობას არავის აპატიებდა. რეზოს მოეჩვენა: ჰა, და ჰა, ვარსკვლავი გავხდიო. გული აიცრუა წვრთნაზე. ეკამათებოდა აღმზრდელს... მერე მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. ანდრო ჟორდანიამ რეზო გუნდიდან გაუშვა.

როცა გამოფხიზლდა, შეძრწუნდა. თითქოს თვალშეუდგამი სიმაღლიდან გადმოაგდეს და მიწაზე დაანარცხეს... ძალიან მტკივნეული და მწარე იყო სინამდვილე. ისეთი სიცარიელე იგრძნო, ეგონა წელში ვერასოდეს ვეღარ გასწორდებოდა. მაგრამ არის ადამიანის ცხოვრებაში წუთები, როცა მის სულში შემოდის რაღაც ამაღლებული, დაცემულს და ფარხმალდაყრილს უეცრად მეგობრის ხელი მოეშველება. დაეყრდნობი, თუმცა იგი ნაზია და ფაქიზი, მაგრამ მომხიბლაობასთან ერთად დიდი ძალაც გააჩნია. ეს იყო დიდთვალება ჯენეტი.

ისევ დამწიფდნენ წითელი ბროწეულები ბალახვანზე. წვიმაში გაწუწული ხეები იდგნენ ქუჩაზე და ფოთლების ყვითელი კორიანტელი დაფარფატებდა ბულვარზე. ჩვეულებრივი ქუთაისური შემოდგომა იყო... სიყვარულის სისავსეს ჩრდილს აყენებდა სევდა ფეხბურთზე. ვერ მოისვენა. ახლა ის უკვე კაცი იყო, ოჯახის უფროსი. ოდესაში მწვრთნელ იური ვოინოვთან წავიდა. ერთხანს „ჩერნომორეცში" თამაშობდა, მერე გიორგი გრამატიკოპულოს მიაკითხა სოხუმში. კარგად მიიღეს. ბევრი რამ ასწავლეს. ვარჯიშობდა თავდაუზოგავად. შემდეგ ვახტანგ რამიშვილთან ბათუმს გაემგზავრა. ოდესა, სოხუმი, ბათუმი, ქუთაისი. ეს დიდი საფეხბურთო სკოლა იყო მისთვის. მერე ბლინკოვმა ისევ ქუთაისში წაიყვანა.

დედაქალაქი. ეჰ, დედაქალაქი მაინც სულ სხვაა. ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ადრე ცხოვრება ლამაზი ზღაპარი ეგონა, რომანტიკით, სიყვარულით, გამარჯვებებით სავსე... მისმა მკაცრმა პირდაპირობამ, რკინის ლოგიკამ შრომა შეაყვარა. პატიოსანი გზით სიარული ასწავლა. თუმცა შეიძლებოდა ყველაფერზე ხელი ჩაექნია...

ახლა ვზივართ რეზო ძოძუაშვილის წყნარ ბინაში და ვსაუბრობთ ფეხბურთზე. მაოცებს ახალგაზრდა კაცის გაუნელებელი სევდა, რომელიც ასე იგრძნობა მის გამოხედვაში, საუბარში. აქ ყველაფერი ჯენეტის მოგონებით სუნთქავს. საოცარია სიყვარულის ხსოვნა. მხოლოდ განსაკუთრებით ფაქიზ ადამიანებს შეუძლიათ ასე არდავიწყება...




ნანა ჯაფარიძე

ერთხანს ჩამოვარდნილ დუმილს ისევ მე ვარღვევ, ვეკითხები:

— რეზო, დღეს როცა თვალს გადავავლებთ გასულ საფეხბურთო სეზონს, ბევრი სასიხარულო და ბევრიც მწარე წუთი გვახსენდება. თბილისის „დინამო" საბჭოთა ფეხბურთის შესანიშნავი ექვსეულის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია, როგორ აფასებთ მის წლევანდელ სპორტულ მიღწევებს?

— ამაზე არაერთხელ ითქვა და მინდა კიდევ გავიმეორო: თბილისის „დინამოდან" დიდი ფეხბურთელები წავიდნენ. აბა განსაჯეთ. შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ბარქაია, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი. თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი ერთ და ორ წელს როდი გრძელდება. მართალია, ჩვენს გუნდში მოვიდნენ ახალგაზრდები, რომლებიც დროთა განმავლობაში თავიანთ სიტყვას იტყვიან, მაგრამ ჯერ კიდევ სადა ვართ, უიმათობა მაინც გაგვიჭირდება. მერე კიდევ, სეზონის დასაწყისში მწყობრიდან გამოვიდა კახი ასათიანი. დაშავდნენ შოთა ხინჩაგაშვილი, გოჩა გავაშელი, ლენინგრადში დაშავდა გივი ნოდია. რწმენა დაკარგა რამაზ ურუშაძემ. ამას დაერთო კიდევ ის, რომ გუნდის დიდი მექანიზმი თითქოს მოიშალა. სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა დისციპლინა. წარმოუდგენლად გაგვიჭირდა, მაგრამ სასიამოვნოა, რომ ამ მძიმე წუთებში გავრიილ კაჩალინმა ისევ შეაკავშირა გუნდი. ნიჭიერმა ახალგაზრდებმა მანუჩარ მაჩაიძემ, დათო ყიფიანმა, ფირუზ რეხვიაშვილმა, თამაზ სტეფანიამ, ზაურბეკ ებრალიძემ, ვლადიმერ გუცაევმა, ბესო მჭედლიშვილმა პირდაპირ სპორტული გმირობა ჩაიდინეს. მე მათი დიდი იმედი მაქვს მომავალ სეზონშიც. საერთოდ არასტაბილური თამაშის გამო, ვფიქრობ, მესამე ადგილი წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

— რას იტყვით ქალთა ფეხბურთზე? ან თუ ოდესმე გინახავთ მათი თამაში?

— სამწუხაროდ, არასოდეს. ისე კი გადმოცემით ვიცი, რომ საკმაოდ ლამაზი სანახაობა ყოფილა. არ იქნებოდა ცუდი თუ ჩვენშიც შეიქმნება ქალთა ფეხბურთი.

— რახან სიტყვა ქალებზე ჩამოვარდა, მინდა გკითხოთ: ჩვენთან სტადიონზე რატომღაც ძალიან ცოტა ქალი დადის. ეს ალბათ ჩვენი ბრალია. როგორც იტყვიან, პოზიციები დავთმეთ. თუმცა არა მგონია ჩვენზე უფრო განიცდიდნენ მამაკაცები თბილისის დინამოელთა გამარჯვებას ან დამარცხებას. ზოგჯერ როცა წააგებთ, მძიმე დღეები გვაქვს ხოლმე თქვენს გულშემატკივრებს. რეზო, მომავალში სტადიონზე უფრო მეტმა ქალმა რომ იაროს, ეს თქვენზე — ფეხბურთელებზე, როგორ იმოქმედებდა?

— როცა ბესტი თამაშობს ბელფასტში, ერთი ტრიბუნა ქალებს უკავიათ. უნდა ნახოთ, რა აჟიოტაჟით ხვდებიან ისინი თავიანთ სათაყვანებელ კერპს. ბესტი ამით ძალიან კმაყოფილია. ჩვენც, ქართველ ფეხბურთელებსაც, ალბათ ძალას შეგვმატებდა მშვენიერთა სქესის მხარდაჭერა.

— არის ხოლმე განსაკუთრებული მატჩები, რომლის დავიწყება არ შეიძლება. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება მატჩი სტამბოლში. ეს იყო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი.

— მახსოვს; განსაკუთრებით ვღელავდით. გავრიილ კაჩალინმა ხუთივე ქართველი გამოგვიძახა და გვითხრა: — აბა თქვენ იცით, ბიჭებო, დღეს თამაში მოგიწევთ სტამბოლის სტადიონზე თურქი მაყურებლის თვალწინ. დაუმტკიცეთ მათ, რომ ხმლის მოქნევაზე ნაკლებად არც ბურთის თამაში შეგვიძლიათო. მერე თქვენც იცით რა დღეც დავაყარეთ თურქეთის ნაკრებს. მე მეტინს მეთვალყურეობდი და ფეხი არ გავანძრევინე. საერთოდ, ჩვენმა ბიჭებმა კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით კი კახი ასათიანმა. „საბჭოთა ნაკრების ელექტროტვინი", „გუშინ თამაშობდნენ თურქეთის ნაკრები და კახი ასათიანი" — წერდნენ თურქეთის გაზეთები. თამაშის შემდეგ ჩვენთან მოვიდა პოლიციელი და ქართულად გამოგველაპარაკა. თვალები უბრწყინავდა სიხარულისგან. ბევრ ძალზე ბევრ ქართველს, რომელიც უყურებდა იმ მატჩს, დაკარგული რწმენა აღვუძგინეთ...

(დასასრული შემდეგ ნომერში).

# კარპოვი აღარ ხუმრობს

ჩვენი



ალბათ გახსოვთ, შარშან მოსკოვში სტუმრად ყოფნის დროს ფიდე-ს პრეზიდენტმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ეივემ თქვა: ახალგაზრდებიდან მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტად ანატოლი კარპოვი მიმაჩნიაო. როგორც ჩანს, ღვაწლმოსილ მოჭადრაკეს დიდი ტალანტის გამოცნობის უტყუარი ინტუიცია აქვს. 1956 წელს იგი 13 წლის ბობი ფიშერს ორი პარტია ეთამაშა და მას უდიდესი მომავალი უწინასწარმეტყველა. ეს მისნობა, როგორც იცით, გამართლდა.

შარშან ა. ალიოხინის მემორიალში, რომელშიც საბჭოთა ჭადრაკის ყველა „ვარსკვლავი" მონაწილეობდა, კარპოვმა I-II ადგილები გაიყო დიდოსტატ ლ. შტეინთან. მას პარტია არ წაუგია. მოიგო კი რამდენიმე, ისიც ფინიშზე, როცა მთავარი პრიზის ბედი წყდებოდა. დიდი დრო არ გასულა და ჰასტინგსის საშობაო საერთაშორისო ტურნირში ჭაბუკმა დიდოსტატმა კვლავ I-II ადგილები გაიყო, ამჯერად დიდოსტატ ვ. კორჩნოისთან. ეს უდავოდ მრავლისმეტყველი წარმატებაა.

ალიოხინის მემორიალში კარპოვი, ასე ვთქვათ, უმიზნებდა მთავარ პრიზს: თამაშობდა ძალიან მშვიდად, ყაიმზე ადვილად თანხმდებოდა. მან მხოლოდ ფინიშზე თავდადებული სპურტით გაიყო გამარჯვება შტეინთან. ჰასტინგსში იგი ლიდერთა რბოლას თავიდანვე სათავეში ჩაუდგა. არავის ინდობდა, თუმცა მეტოქეებად ჰყავდა გამოჩენილი უცხოელი დიდოსტატები — იუგოსლაველი ს. გლიგორიჩი, არგენტინელი მ. ნაიდორფი, დასავლეთგერმანელი ვ. უნციკერი, ამერიკელი რ. ბირნი და სხვები. ფინიშზე კარპოვმა ტემპს უკლო. მას კორჩნოი წამოეწია. ბოლოსწინა ტურში ამ უკანასკნელმა შეძლო კარპოვთან რევანშის აღება (ალიოხინის მემორიალში კარპოვმა მოუგო კორჩნოის) და კიდეც გაუსწრო. მაგრამ ანატოლიმ გაიმარჯვა დასკვნით ტურში და გამოცდილ საბჭოთა დიდოსტატს (კორჩნოიმ ვერ სძლია ნაიდორფს) დაეწია.

კარპოვი აღარ ხუმრობს. ისეთი აღმავლობით თამაშობს, რომ შეიძლება 1975 წელს მსოფლიო ჩემპიონის მეტოქე სწორედ ის იყოს.

ახლა კარპოვი 20 წლისაა. იგი ლენინგრადის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მესამე კურსზე სწავლობს. სწავლობს შესანიშნავად. ფრიადოსანია. ლექტორებიც კი გაოცებული არიან: როდის ასწრებს ყმაწვილი კაცი ამდენ რამესო. სხვათა შორის, როცა ამის თაობაზე კარპოვს ეკითხებიან, იგი იღიმება. რა არის გასაკვირი, ვმეცადინეობ, როცა კი შეიძლია, დროს ტყუილად არ ვაცდენო.

რა თქმა უნდა, ჭადრაკის საიდუმლოების ათვისებისთვის კარპოვი ძალიან ბევრს მუშაობს. ჯერ კიდევ 12 წლისა იყო, როცა ზლატოუსკელ მოსწავლეს ყურადღება მიაქციეს. რამდენიმეჯერ მოსკოვში ჩამოიყვანეს კიდეც მ. ბოტვინიკთან საკონსულტაციოდ მერე, როცა საშუალო სკოლა დაამთავრა, შესანიშნავი მწვრთნელის, ლენინგრადელი დიდოსტატის ს. ფურმანის ხელში მოხვდა. ეს კარპოვს მყისვე დაეტყო. 1969 წელს მან ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

ახალგაზრდობის მიუხედავად, კარპოვი უკვე ჩამოყალიბებული მოჭადრაკეა, იგი პოზიციურ სტილში თამაშობს, მაგრამ მწვავე პრობლემებს თავს არასოდეს არიდებს. ძალიან რაციონალურიცაა. ამ ხრივ მას ტ. პეტროსიანს adარებენ.

—ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კარპოვს ჰკითხეს: ვინ არის თქვენი იდეალი ჭადრაკში? მან უპასუხა: — არავინ. ვცდილობ ვითამაშო ჩემებურად! ეს სიტყვები ადასტურებენ, რომ კარპოვი ღრმადაა დარწმუნებული საკუთარ ძალაში. მან იცის, რა უნდა და იცის ისიც, როგორ უნდა მიაღწიოს მიზანს.

რა თქმა უნდა, კარპოვი წლეულსაც ბევრ თვალსაჩინო ტურნირში ითამაშებს, მაგრამ მისთვის მაინც ყველაზე საპასუხისმგებლოა შეხვედრა ჭაბუკთა შორის მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონთან, შვეიცარიელ ა. ჰიუგთან. მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებისთვის მატჩში 6 პარტია უნდა გათამაშდეს.

იქნებ ახლაც აღსრულდეს ეივეს წინასწარმეტყველება?

თ. გიორგაძე.

* * *

სურათზე: ა. კარპოვი.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბადმინტონისტებს დახმარება სჭირდებათ

1972 წელს XX ოლიმპიური თამაშების დროს, მიუნხენში ბადმინტონისტთა საჩვენებელი გამოსვლები მოეწყობა. ალბათ შორს არ არის დღე, როცა ამ სახეობას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების პროგრამაში შეიტანენ. ასე რომ, ბადმინტონი, როგორც ჩანს, შეუპოვრად იბრძვის მოქალაქეობრივი უფლებების მოპოვებისთვის.

საბჭოთა კავშირში, ისევე როგორც უცხოეთში, ბადმინტონი დიდად პოპულარულია. ზოგ ქალაქში ეს თამაში სპორტის თითქმის № 1 სახეობად ითვლება. დავასახელოთ, მაგალითად, დნეპროპეტროვსკი, კრასნოარმეისკი და მინსკიც, რომლის გუნდმაც წლეულს სსრ კავშირის თასის გათამაშება მოიგო.

როგორღაა ბადმინტონის განვითარების საქმე ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ თბილისში? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა სახარბიელო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ გაისად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი ბადმინტონის სპეციალისტთა პირველ ნაკადს გამოუშვებს (სხვათა შორის, ჩვენმა ინსტიტუტმა საბჭოთა კავშირში პირველმა შემოიღო ამ სახეობის სპეციალიზაცია), სპორტული ჯგუფები ძალიან ნაკლებად გვაქვს როგორც მთელს რესპუბლიკაში, ისე თბილისში. ბადმინტონი ფაქტიურად მხოლოდ ერთ სპორტსაზოგადოებაში — „ბურევესტნიკშია" დანერგილი. შეჯიბრებებში წლობით არ ჩანან „დინამოს". „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების" სპორტსმენები. „განთიადისა" და „სპარტაკის" ბადმინტონისტები სარბიელზე პერიოდულად გამოდიან. მაგალითად, თბილისში „განთიადის" ბადმინტონისტები რეგულარულად ვერ ვარჯიშობენ, რადგან სპორტულ დარბაზში საჭირო დრო არა აქვთ გამოყოფილი. „სპარტაკს" ბადმინტონისტები მხოლოდ სოხუმში ჰყავს და ცენტრალური საბჭოს პირველობებზე მათ გზავნის, თავის რესპუბლიკურ პირველობებს კი არ ატარებს.

რამდენიმე ხნის წინ რესპუბლიკური პირველობის სარბიელზე ქიათურის ნორჩი ბადმინტონისტები გამოვიდნენ. რასაკვირველია, ისინი უფროსებს ვერ შეეჯიბრებოდნენ. მას შემდეგ ქიათურას გუნდი აღარ გამოუყვანია. სატოცარია, მაგრამ ბადმინტონის განვითარებისთვის არაფერი კეთდება ისეთ დიდ ქალაქშიც კი, როგორიც ქუთაისია, თუმცა აქ ერთ დროს რესპუბლიკურ შეჯიბრებათა პრიზიორებიც ჰყავდათ.

როგორც სპორტის სხვა სახეობებს, ბადმინტონსაც ჰყავს თავისი ენთუზიასტები. მაგრამ სპორტის მესვეურთა ყურადღების გარეშე ისინი ვერ მიაღწევენ მნიშვნელოვან შედეგებს. კერძოდ ეს ეხება ბათუმელ და რუსთაველ ენთუზიასტებს. დიდხანს განზე იდგნენ ცხინვალი და თელავი, თუმცა ამ ქალაქებში არის უმაღლესი სასწავლებლები, სადაც შეიძლება ბადმინტონის განვითარება. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს შორის მხოლოდ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და უნივერსიტეტშია გახსნილი მუდმივი ჯგუფები. გაუგებარი მიზეზით დაიშალა ბადმინტონისტთა ჯგუფები თბილისის უცხო ენებისა და სამედიცინო ინსტიტუტებში.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში მხოლოდ ბავშვთა ჯგუფებია გახსნილი. ეს მწვრთნელებს აიძულებს მოზარდები გამოიყვანონ როგორც მათს თანატოლთა, ისე უფროსების შეჯიბრებებში. ბუნებრივია, უფროსებთან შეჯიბრებაში დამარცხების შემდეგ ახალგაზრდები კარგავენ საკუთარი ძალის რწმენას და არჩეული სახეობისადმი ინტერესს. რესპუბლიკურ და საქალაქო შეჯიბრებებში ბადმინტონისტთა კონტინგენტი თითქმის არ იცვლება და ასევე თითქმის მუდამ შეიძლება წინასწარ გამოიცნო ასპარეზობის საბოლოო შედეგი. ამის გამო შეჯიბრება სპორტული თვალსაზრისით ინტერესს კარგავს.

ბადმინტონს ჯერ კიდევ ნაკლებად მისდევენ ქალები. თბილისის ბოლო პირველობაში, მაგალითად, წყვილთა თანრიგში მხოლოდ ორი „დუეტი" გამოდიოდა. არასახარბიელოდაა ინვენტარის საქმე. ამ ბოლო დროს მაღაზიებში თითქმის ვერსად ნახავთ „შვალბეს" ბურთებს, რომლებითაც ყველა საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებაში თამაშობენ. აღარ იყიდება ჩოგნები ლითონის ღეროებით.

რაც უფრო მალე გამოსწორდება ეს ნაკლი, მით უფრო სწრაფად მიაღწევენ წარმატებას საკავშირო სარბიელზე ჩვენი რესპუბლიკის ბადმინტონისტები.

ბ. ამირხანოვი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

Ეს საოცრად მოხდენილი გოგონები დიდი ხანი არ არის, რაც მხატვრული ტანვარჯიშის მადლს ეზიარნენ, მაგრამ უდიდეს სიამოვნებას რომ ჰგვრით სპორტი, ეს ცხადია. მართლაც, თუ სპორტის რომელიმე სახეობის წარმომადგენლებს აქვთ პრეტენზია ხელოვნებასთან კავშირისა, ეს უპირველეს ყოვლისა მხატვრულ ტანვარჯიშს ეხება. დიახ, ამ მომხიბვლელ სახეობაში კარგად არის შერწყმული ერთმანეთთან მუსიკა, პლასტიკური სინატიფე და სინაზე. ბავშვები ხომ სილამაზის და სინაზის განსახიერებანი არიან და ამ გოგონებმაც სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს დაკავშირებოდნენ მხატვრულ ტანვარჯიშს.





ბ. ქვათაძის ფოტოები.

# მსოფლიო რეკორდები

## ძალოსნობა

1972 წლის 18 იანვრისთვის

| წონა | შედეგი | რეკორდსმენი | წელი |
|---|---|---|---|
| | | **აჭიმვა** | |
| უმჩატესი | 117,5 | ა. გნატოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მჩატე | 127,5 | რ. ბელენკოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემსუბუქი | 137 | ი. ფიოლდი (უნგრეთი) | 1971 |
| მსუბუქი | 153 | ვ. დრექსლერი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 165,5 | ა. კოლოდკოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| საშუალო | 177 | ჩ. პატერაა (პოლონეთი) | 1971 |
| ქვემძიმე | 193,5 | ბ. იუჰანსონი (შვეცია) | 1971 |
| მძიმე | 206 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 230 | ვ ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | | **ატაცი** | |
| უმჩატესი | 102,5 | ტ. ხორიკოსი (იაპონია) | 1971 |
| მჩატე | 113,5 | კ მიკი (იაპონია) | 1968 |
| ქვემსუბუქი | 125,5 | ი მიიაკე (იაპონია) | 1969 |
| მსუბუქი | 137,5 | ვ ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 145 | მ ოუტი (იაპონია) | 1967 |
| საშუალო | 155 | კ კანგასნიემი (ფინეთი) | 1971 |
| ქვემძიმე | 165 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მძიმე | 170,5 | პ. კერვუშინი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 180 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | | **აკვრა** | |
| უმჩატესი | 131 | ა. გნატოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მჩატე | 150 | მ. ნასირი (ირანი) | 1968 |
| ქვემსუბუქი | 155 | ი. გოლუბცოვი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მსუბუქი | 178,5 | პ. კოროლი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 187,5 | ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) | 1968 |
| საშუალო | 195,5 | ზ. ივანჩენკო (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემძიმე | 207,5 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მძიმე | 217,5 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 235,5 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |
| | | **სამჭიდი** | |
| უმჩატესი | 342,5 | შ. ხოლცრაიტერი (უნგრეთი) | 1970 |
| მჩატე | 375 | ბ. ჩეტინი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემსუბუქი | 400 | ი. მიიაკე (იაპონია) | 1969 |
| მსუბუქი | 450 | ვ ბაშანოვსკი (პოლონეთი) | 1971 |
| ქვესაშუალო | 482,5 | ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) | 1968 |
| საშუალო | 510 | ვ. შარიი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ქვემძიმე | 552.5 | დ. რიგერტი (სსრ კავშირი) | 1971 |
| მძიმე | 585 | ი. ტალტსი (სსრ კავშირი) | 1971 |
| ზემძიმე | 640 | ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) | 1971 |

# მიზანს უახლოვდებიან

ავსტრალიელი მოცურავეები უკვე უახლოვდებიან იმ საუკეთესო სპორტულ ფორმას, რომლის მიღწევაც მწვრთნელებს მიუნხენის ოლიმპიადისთვის ჰქონდათ დაგეგმილი. ქვეყნის ცალკეული შტატების ჩემპიონატებში წლეულს უკვე ორი მსოფლიო და რამდენიმე ეროვნული რეკორდი დამყარდა. მაგრამ ნაადრევი მაღალი შედეგები გუნდის ხელმძღვანელებში განგაშს კი არა, კმაყოფილების გრძნობას იწვევს. მათ იმედი აქვთ, რომ მწვანე კონტინენტის მოცურავეები, როგორც ადრეც ბევრჯერ ყოფილა, გადამწყვეტ სტარტებამდე შედეგებს კიდევ უფრო გაზრდიან.

ავსტრალიაში ბოლო კვირას ქვეყნის ნაკრების წევრები და ამ სახელის მაძიებლები ახალი სამხრეთ უელსის შტატის ღია ჩემპიონატში გამოვლენ (შეჯიბრებაში სხვა ქვეყნის სპორტსმენებიც მონაწილეობენ). ჯერ კიდევ წინასწარ გაცურვებში ნ. როჯერსმა 100 მეტრზე ბატერფლაით შეჯიბრებაში ავსტრალიის რეკორდი დაამყარა — 57,2, შემდეგ კი ფინალში ეს შედეგი კიდევ 0,2 წამით გააუმჯობესა. როჯერსმა კანადელ ბ. რობერტსონს 1,1 წამი მოუგო.

800 მეტრზე თავისუფალი სტილით შეჯიბრებაში საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა 100 და 200 მეტრზე გულაღმა და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქვეყნის ჩემპიონმა ბ. კუპერმა, 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდსმენმა გ. უინდეტმა. 700 მეტრზე უინდეტი კუპერის მხარდამხარ მიცურავდა. ტემპი იმდენად მაღალი იყო, რომ მსოფლიო რეკორდის დამყარებაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა, მაგრამ რეკორდსმენმა დაძაბულობას ვერ გაუძლო და ჩამორჩა — 8.30,1. კუპერმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 8.23,8.

შ. გოულდმა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ თავისუფალი სტილით ცურვაში ბოლო მსოფლიო რეკორდი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში დაამყარა, ახალი სამხრეთ უელსის შტატის ღია ჩემპიონატში ამ დისტანციაზე კვლავ მაღალი შედეგი (59,0) აჩვენა. იგი მეთექვსმეტედ გასცდა წუთის ზღვარს, ერთი საათის შემდეგ კი 100 მეტრზე ბატერფლაით შეჯიბრებაში ავსტრალიის რეკორდსმენი გახდა — 1.05,1.

200 მეტრზე ბრასით ფინალურ შეჯიბრებაში ავსტრალიელმა ბ. უიტფილდმა და ინგლისელმა დ. ჰარისონმა ცურვა ერთდროულად (2.45,0) დაამთავრეს. პირველობა მასპინძელს მიეკუთვნა.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.


20-24 იანვარი,
ბაკურიანი




სსრ კავშირის თასი


# ქ ე ლ ე ს ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

Პელემ დაამთავრა ახალი წიგნი „მე, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი". მან უკვე დადო ხელშეკრულება ერთ-ერთ გამომცემლობასთან. ეს გამოჩენილი ფეხბურთელის მეორე წიგნია. როგორც ცნობილია, პირველს — „მე, პელე", არაჩვეულებრივი პოპულარობა ხვდა წილად, მრავალ ენაზე ითარგმნა. პელემ ბრაზილიის განათლების სამინისტროს სპეციალური ჯილდოც დაიმსახურა, ვინაიდან უამრავმა წერა-კითხვის უცოდინარმა სპეციალურად ისწავლა ანბანი, რათა ეს წიგნი წაეკითხა.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008). დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.